112-ல் முன்னோட்டம்...

N1

12.09.2013

இதழுடன்

"112"-ის დღე საქართველოში (გვ.14)

სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსი (გვ.5)

შინაგან საქმეთა მინისტრი "112"-ს ესტუმრა (გვ.14)

წარმატებული 112-ელები (გვ.12)

"112"-ის დაჯილდოების ცერემონია (გვ.7)

სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია "112"-ში (გვ.6)

სარჩევი

დირექტორის მიმართვა გვ.5

სამედიცინო დახმარების
სასწავლო ჯურსი გვ.6

ისრაელის სახელმწიფოს
საზ. უსაფრთხოების მინისტრი გვ.7
"112"-ს ეწვია

სომხეთის დელეგაცია "112"-ში გვ.7

112-ის დაჯილდოების ცერემონია გვ.8

eCall-ის სერვისი გვ.9

სერტიფიცირების პროგრამა გვ.9

112-ელის გვერდი გვ.10-12

ტრენინგი "ინფორმაციული უსაფრთხოების
საფუძვლებში" გვ.13

ექსკურსიები... გვ.14

შინაგან საქმეთა მინისტრი "112"-ს ესტუმრა გვ.15

"112"-ის დღე საქართველოში გვ.15

"112" - საქართველოს ღია ჩემპიონატის მხარდამჭერი
ოფროუდ თრაიალში გვ.16

"112" სტუდენტური სამთო-სათხილამურო ჩემპიონატის
მხარდამჭერი გვ.16

ფილმი "ზარი" გვ.17

ზარები "911"-ში გვ.18

ეს საინტერესოა... გვ.19

ფსიქოლოგის გვერდი გვ. 20

სტატისტიკა, მილოცვები გვ. 21

ფოტოკონკურსი გვ. 22-23

"112" შემოდგომის სასიამოვნო სიახლით ხვდება. განახლდა ყოველთვიური, ელექტრონული, შიდა მოხმარების ჟურნალის გამოცემა, რომელიც სამუშაოებს მოგცემთ, მაგამივალ ადგნოთ თვალყური "112"-ში განვითარებულ მოვლენებს. მიიღებთ ინფორმაციას ორგანიზაციაში მიმდინარე სიახლეების შესახებ, გაიცნობთ საუთარ თანამშრომლებს ცხვა ამპლოაში, ამოიკითხავთ საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში არსებული საინფორმაციო ანაცემენტი და ახალი ამბებს. ასევე, შესაძლებლობა მოგეცემთ, მონაწილეობა მიიღოთ "112"-ის თემატიკაზე განთავსებული საუთარების თოფოტონუსებში.

რედაქტორი დავით ჭანტურია

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი, ნათია უზუნაშვილი, ჰენრიეტა ელიაური, ანა ჯეჯელიძე, თეონა ბარაბაძე, ლანა ებრალიძე, თეონა გაგოშიძე, ნინო ლასურაშვილი

დიზაინი თეა ჯუპრაძე

გიორგი ბიჭაშვილი

შსს სსიპ “112”-ის დირექტორი

ძვირფასო თანამშრომლებო,

უპირველეს ყოვლისა, მინდა თითოეული თქვენგანი გაეცნოს “112”-ში, ბოლო პერიოდში, განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს “112”-ის განვითარებას და წინსვლას. განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები. ჯერ-ძოდ, ჩამოყალიბდა ჯადრების განყოფილება და შეიქმნა პირადი საქმეების არქივი. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს გამოეყო ანალიტიკური სამსახური, სადაც შემუშავდა სტატისტიკის პროგრამის ახალი პროექტი. იქმნება პროგრამისტების ჯგუფი, რომლებიც შეძლებენ პრობლემის დროულ იდენტიფიკაციას და გამოსწორებას. ჩამოყალიბდა ინოვაციური პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების ჯგუფი.

“112”-ისთვის თითოეული თანამშრომლის აზრი მნიშვნელოვანია. ამიტომ, პერიოდულად იმართება სამუშაო შეხვედრები და მიღებული რეკომენდაციებისა და თხოვნების გათვალისწინებით იგეგმება გარკვეული აქტივობები. თანამშრომელთათვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით განახლდა ინფრასტრუქტურა. ჯერ-ძოდ, შეიცვალა სავენტილაციო დანადგარი და მოეწყო მოსასვენებელი ოთახი. სამომავლოდ, იგეგმება განტვირთვის ოთახის მოწყობაც.

“112”-ის საქმიანობის სრულყოფის მიზნით მუდმივად ხორციელდება თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრირების საკითხს. მიმდინარეობს მუშაობა მათთვის ხელმისაწვდომი სერვისის შესაქმნელად. ჯერ-ძოდ, იგეგმება “112”-თან მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ვიდეო ზარის საშუალებით დაკავშირება.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლების დრო და ენერგია არ იქნეს დახარჯული არამიზნობრივ ზარებზე რეაგირებისას, ამიტომ ცენტრი სხვადასხვა ღონისძიებებს ატარებს, რათა გაიზარდოს “112”-ის ცნობადობა და ჩამოყალიბდეს სამოქალაქო ცნობიერება, თუ რა შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრით. დაგეგმილია გრძელვადიანი, საინფორმაციო სარეკლამო კამპანია და მომზადებულია სასკოლო პროექტი, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს მოქალაქეებში “112”-ის ცნობადობის ამაღლება და არამიზნობრივი ზარების რაოდენობის შემცირება.

უცხო ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება და ჩვენს ცენტრში დანერგვა პრიორიტეტულია. ამიტომ, “112” აქტიურად თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან, როგორც ადგილობრივ, ისე ქვეყნის გარეთ არსებულ სახელმწიფო, ჯერ-ძო და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან. “112”-ს მჭიდრო კავშირი აქვს ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციასთან (EENA). მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს “112” EENA-ს ოფიციალური წევრი გახდა.

მიმდინარეობს მუშაობა “112”-ის ალტერნატიული ცენტრის შესაქმნელად, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, საგანგებო სიტუაციის დროს ორმა ცენტრმა დააზღვიოს ერთმანეთი. უახლოეს მომავალში ამოქმედდება ევაკუატორებით დახმარებისა და ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორების სერვისი. ასევე, მიმდინარეობს სადისპეტჩერო პროტოკოლების პრიორიტეტების სისტემის დანერგვა და ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

ვიმედოვნებთ, ჟურნალი დაინტერესებს “112”-ის ყველა თანამშრომელს და კოლეგების უკეთ გაცნობის, დაახლოების და ერთ გუნდად ჩამოყალიბების კარგი საშუალება იქნება.

აქვე მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ თანადგომისათვის და თქვენს მიერ გაწეული შრომისთვის! ჩვენთვის ძალიან საამაყოა, ვიყოთ თქვენს სამსახურში!

პატივისცემით,

სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსი

"112" მუდმივად ზრუნავს ზარის მიმღებთა და დისპეტჩერთა საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა ოპერატორთა პროფესიული გადამზადება დაიწყო, რომლის მიზანია უზრუნველყოს საბაზისო სამედიცინო ცოდნის ამაღლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. აღნიშნულის საფუძველზე, შესაძლებელი გახდება სამედიცინო დახმარების აუცილებლობის შემთხვევათა შესახებ, შემოსული შეტყობინებების მიღება და ინტერვიუს წარმოება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების შემთხვევაში, სამედიცინო ბრიგადის მისვლამდე, ოპერატორი შეძლებს საქმის სატელეფონო რეკომენდაციების ფორმატში მართვას. ტრენინგებში სწავლების სხვადასხვა მეთოდია გამოყენებული - ლექციები, თეორიული სავარჯიშოები, პრაქტიკული გაკვეთილები და სიმულაციური სცენარები.

10 დღიან სასწავლო კურსს "112"-ის 140 ზარის მიმღები "მედიქლაბჯორჯია" - ს სასწავლო რესურს ცენტრში გადის. მსმენელებს გადაეცემათ განვლილი კურსის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

ისრაელის სახელმწიფოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრი "112"-ს ეწვია

ისრაელის სახელმწიფოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრი იცხაკ აჰარონოვიჩი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ - "112"-ს ესტუმრნენ.

დელეგატებმა დაათვალიერეს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი და ადგილზე გაეცნენ "112"-ის მუშაობის სპეციფიკას.

"112"-ის წარმომადგენლებმა გააცნეს დელეგატებს ინფორმაცია, საქართველოში, გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის შესახებ. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ამომწურავი პასუხი მიეღოთ მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე, რაც "112"-ში არსებულ მომსახურების დროსა თუ ხარისხს შეეხებოდა. დელეგაციის წევრებმა დადებითად შეაფასეს "112"-ის მუშაობა და სამომავლოდ, ისრაელში გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის დანერგვის და აღნიშნულ სფეროში საქართველოს გამოცდილების გაზიარების სურვილი გამოთქვეს.

სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია "112"-ში

9 აგვისტოს, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრს სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია ესტუმრა.

დელეგაციის წევრებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი "112" დაათვალიერეს, გაეცნენ საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის მუშაობის პრინციპს და გაესაუბრნენ თანამშრომლებს.

სომხეთის რესპუბლიკის დელეგაცია საქართველოში პოლიციის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ვ.გასპარიანის ხელმძღვანელობით საქართველოში ორდღიანი ვიზიტით, იმყოფებოდა.

112-ის დაჯილდოების ცერემონია

ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება 112-ის დაჯილდოვების ცერემონია.

2013 წლის აპრილში "112"-ის დირექტორი ბატონი გიორგი ბიჭაშვილი სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ლატვიაში გაემგზავრა და რიგაში გამართულ ევროკავშირის საგანგებო სიტუაციების სამსახურების კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. ვიზიტის ფარგლებში გიორგი ბიჭაშვილმა პირადად დაათვალიერა გადაუდებელი დახმარების ქოლცენტრი, მიიღო ინფორმაცია ევროპელი კოლეგებისგან 112-ის მუშაობის სპეციფიკის შესახებ და დაესწრო 112-ის დაჯილდოების ყოველწლიურ ცერემონიას.

2014 წლის 2 აპრილს დაჯილდოვების მორიგი ცერემონია ვარშავაში გაიმართება. აღნიშნულის ფარგლებში ევროპული საგანგებო ნომრის ასოციაცია (EENA) დააჯილდოვებს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს, ოპერატორ-დისპეტჩერებსა და საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრებს განსაკუთრებული მიღწევებისათვის.

გამარჯვებულთა შერჩევა მოხდება ორ ეტაპად შემდეგი სახის ნომინაციებში: საუკეთესო ოპერატორი/დისპეტჩერი, საუკეთესო მოქალაქე, საუკეთესო 112-საგანმანათლებლო კუთხით, საუკეთესო საგანგებო სიტუაციათა ცენტრი, საუკეთესო 112-ნაციონალური რეფორმის გატარებისათვის, საუკეთესო სამაშველო ბრიგადა და საუკეთესო მაჩვენებელი სოციალური მედიის გამოყენებისას.

პირველ ეტაპზე ცერემონიაში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს ჟიურის 5 დამოუკიდებელი წევრი. მეორე ეტაპზე კი პირდაპირი არჩევნების გზით მოხდება გამარჯვებულის გამოვლენა, არჩევნებში მონაწილეობას ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ყველა წევრი მიიღებს.

eCall-ის სერვისი

2013 წლის 14 იანვარს მადრიდში 6 ქვეყნის ბელგიის, ბულგარეთის, დანიის, ლუქსემბურგის, ესპანეთის და თურქეთის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, ერთმანეთს საერთო მიზნები გააცნეს და სამომავლო პერსპექტივად eCall-ის სერვისის წარმატებით განხორციელება დაგეგმეს.

შეხვედრისას განსახილველ თემას წარმოადგენდა HeERO-ს (ჰარმონიზებული eCall ევროპის პილოტი) მეორე ეტაპის დასაწყისი, რომლის მეშვეობითაც eCall-ის სერვისით ევროკავშირის ქვეყნები ისარგებლებენ.

ახალი სატელეკომუნიკაციო მომსახურება eCall-ი, რომლის მიზანია საგზაო და ზოგადად, უსაფრთხოების გაძლიერება 2015 წლისთვის გახდება რეალობა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისთვის. ავტომანქანების სისტემების შესახებ რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ, ყველა ახალი მოდელის მსუბუქი ავტომანქანა ევროპის საავტომობილო ბაზარზე აღიჭურვება 112-ის eCall-ის სერვისით.

112-ის eCall-ი არის საკომუნიკაციო მოწყობილობა, რომელიც მონტაჟდება ავტომანქანებში და ავტო-საგზაო შემთხვევისას უკავშირდება 112-ის ცენტრს საგანგაშო სიგნალის და ლოკაციის შეტყობინების გაგზავნით. 112-ის ცენტრში შეტყობინების გაგზავნა შესაძლებელია განხორციელდეს ავტომატურად ავტომანქანაში დამონტაჟებული სპეციალური სენსორების მეშვეობით, ან ღილაკზე ზემოქმედების შედეგად.

2012 წლის მონაცემებზე დაყდნობით ევროპის გზებზე მომხდარმა ავტო-საგზაო შემთხვევებმა 28 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და 1.5 მილიონი ადამიანი დაშავდა, ხოლო ყოველწლიური ზარალი 130 მილიარდ ევროს შეადგენს. დღევანდელი სტატისტიკის თანახმად, ევროპაში მანქანების მხოლოდ 0.7% არის აღჭურვილი eCall-ის სისტემით.

eCall-ის სისტემა წარმოადგენს საჯარო პროდუქტს და მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, აღნიშნული მომსახურების შეთავაზება მოსახლეობისათვის უფასოდ უნდა განხორციელდეს. ეკონომიკის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, 112-ის eCall-ის დამონტაჟების საფასური, ყოველ ახალ ავტომანქანაში სავარაუდოდ100 ევროზე გაცილებით ნაკლები იქნება.

112-ის eCall-ი შეამცირებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს ქალაქში 40%, ხოლო ქალაქგარეთ 50%-ით. eCall-ი ყოველწლიურად შეძლებს გადაარჩინოს, დაახლოებით 2500 ადამიანის სიცოცხლე, შეამციროს ხარჯები და შეამსუბუქოს ავტოკატასტროფის სიმძიმე, მანქანაში დამონტაჟებული სპეციალური ღილაკის მეშვეობით 112-ის ოფისში ლოკაციის შესახებ შეტყობინების ავტომატური გაგზავნით.

სერტიფიცირების პროგრამა

2013 წლის 8 ივლისს, ბრიუსელში ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციამ (EENA) დაიწყო მსოფლიოში პირველი ხარისხის სერტიფიცირების პროგრამა, სპეციალურად საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრებისთვის (PSAPs) რათა შეფასდეს მათი მომსახურების ხარისხი.

აღნიშნული პროგრამა ყოვლისმომცველია და უზრუნველყოფს განაცხადებების მიღებას საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრებისაგან ევროკავშირის მასშტაბით მიუხედავად მათი სტრუქტურისა, სიდიდისა და მისიისა.

პროგრამა იყენებს ISO9001-ის იგივე პრინციპებს და იმისათვის, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრებს (PSAPs) მიენიჭოთ ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის ხარისხის სტანდარტის სერტიფიკატი, სპეციალურად ჩატარდება აუდიტი დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს საგანგებო სიტუაციათა ცენტრის მომსახურების გაუმჯობესება ევროპის მასშაბით. შესაბამისად, ევროპის მოქალაქეებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ თანმიმდევრული, მაღალი ხარისხის გადაუდებელი დახმარებით, როგორც შინ, ასევე მოგზაურობის განმავლობაშიც. ეს პროგრამა უზრუნველყოფს ტურისტების ნდობის ამაღლებას EENA-ს წევრ სახელმწიფოებში მოგზაურობის განმავლობაში.

სხვა ჯუთხით დანახული 112-ელები

"112-ის დროით" იწყებს თანამშრომელთა შემოქმედების გაცნობის მიზნით მათი ნამუშევრების გამოქვეყნებას. გთხოვთ, თქვენი ნახატები, ნაქარგები, ხელნაკეთი ნივთები, პოეზიისა და პროზაული ნაწარმოებები გამოგვიგზავნოთ ელ-ფოსტაზე: 112news@112.ge

მხატვარი
დავით ჯინჯიხაძე

შსს სსიპ-"112"-ის ზარის მიმღები

"ვხატავ ბავშვობიდან, 15 წლის ასაკში მივხვდი, რომ მხატვრობა ჩემი ცხოვრების ნაწილია. პროფესიული განათლება ამ სფეროში არ მიმიღია, საუკეთესო გამოცდილება ჩემთვის ნატურიდან ხატვაა და მისი შინაარსისა და შთაგონების ასახვა ტილოზე..."





ირმა უტიაშვილი
შსს სსიპ-"112"-ის მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელი

დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საერთაშორისო ჟურნალისტიკის სპეციალობით. ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი. ქარგავს ხუთი წლის ასაკიდან და ეს დღემდე მისი საყვარელი საქმიანობაა.

***

"მერე რაა, რომ ლექსებს აღარ ვწერ,
ლექსი თვითონ მწერს ახლა იცოდეთ,"
ლექსს მე ვუწოდებ დროებით სატრფოს,
ზოგჯერ რომ მოვა და გაგახარებს;
ჩემი სამყარო ლექსის ტოლაა,
ლექსი ჩემშია დაბადებული,
მე ისევ დავწერ ლამაზ სტრიქონებს
და ყველას ერთად გულს გაგიხარებთ!
მე ყველა ლექსი შენთვის დავწერე,
შენ მოგიძღვენი ყველა სტრიქონი,
არა ძვირფასო, თუ არ არსებობ,
ლექსიც გაქრება ჩემში იცოდე!
დროებას ვუხმობ დიდი ხანია,
ის ჯი არა ჩანს, შენ წარიტაცე,
ლექსო, იდიდე მრავალჟამიერ,
ჩემთვის თუ არა, სხვისთვის იხარე!!!

***

ჰალმების შრიალს ზღვის შრიალი ერწყმის და ერთვის,
მე ჯი ნაპირზე ფერად ჯენჭებს ვაგროვებ შენთვის,
ლურჯი ტალღები ისე ვნებით გიჯრავენ გულში,
მე მეჯიბრება თითქოს ყველა შენს სიყვარულში...
მალი-მალ გიხმობ, შენ მოაპობ ლილისფერ ზვირთებს
და ვერც მოაპობ, ზღვა არ გიშვებს, თანდათან გითრევს,
ის გეფერება სიყვარულით, შიშით, ფეთებით,
ზღვას შენ უყვარხარ და საჩემოდ არ ემეტები...
... ზღვას შევეცოდე, შენი თავი ისევ დამითმო
და შენც ნაპირზე გამოცურე მხოლოდ იმიტომ,
ათასი ჯოცნით მზემ აგიშრო მლაშე წვეთები,
მზე რომ მზე არის, მზესაც ჩემთვის არ ემეტები;
ზღვაზე და მზეზე ვეჭვიანობ - ხუმრობით გითხარ,
შენ გაიცინე და სიცილით ბრწყინავდი დიდხანს

შემოდგომა

(ჩანახატი)

შემოდგომა დგებოდა-წითელი, ყვითელი, ოქროსფერი, წვიმიანი, სუსტი მზით, ჩაშავებული ღრუბლებით, გატიტვლებული, აჯანჯალებული ხეებით, სუსტი, უსუსური ფოთლები რომ შემორჩენოდათ აქა-იქ, თანაც, ისინიც ჯანჯალებდნენ, თრთოდნენ, ეშინოდათ ქარის, რომელიც დაუბერავდა და ძირს, მიწისჯენ გააქანებდა, სადაც სიჯვდილი და მარტოობა ელოდათ. ამიტომ ცდილობენ მაგრად ჩაჰჯროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ვაი, რომ ძალიან შორს იყვნენ ერთმანეთისგან, ვერ სწვდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა, მთელი ტანით იხრებოდნენ, მაგრამ ამაოდ...

მიწა დამძიმებულიყო ნოტიო ჰაერით, ფოთლებით, დამტვრეული ხეებით. მერე წვიმაც ემეტებოდა და უფრო და უფრო მძიმდებოდა მიწა, ვეღარ იტევდა ყველას და ყველაფერს ერთად... საბრალო თვალებით იხედებოდა მაღლა-ცაში და მზეს უხმობდა, ჯრძალვით, მოწიწებით ევედრებოდა, რომ გაეშრო და გაეთბო; მზეც ძალას იკრეფდა ერთი, ორი, სამი საათით და უხვად უგზავნიდა თითქმის გაციებულ სხივებს, ძლივს გამოაშრობდა მიწას... მერე ღრუბელი "წაეჩხუბებოდა" მზეს და მზეც ტირილს იწყებდა, შავდებოდა და წვიმა მოდიოდა-ცივი, საშინელი; ზოგჯერ საამოდ მოედინებოდა მზის ცრემლები და მიწას და მიწას შეუბრალებლად ალბობდა... ასე ეცილებოდნენ ერთმანეთს მზე, წვიმა, ქარი, ზოგჯერ სამივეს ერთად უნდოდა ბატონობა და მათ შორის ჩხუბიც იმართებოდა; მხოლოდ წვიმა იმარჯვებდა და წვიმდა ზოგჯერ სერიოზულად, ზოგჯერ არასერიოზულად, ზოგჯერ რიდით, ზოგჯერ მოურიდებლად და ასე მიჰყვებოდა შემოდგომის დღეები ერთმანეთს.

...ისევ მოსაბეზრებლად და დამღლელად წვიმდა, ყველაფერი მოქუფრულიყო; სისხამი დილა უფრო ამუქებდა სურათს. სარკმლიდან გავიხედე, ერთი ფოთოლი ჩამოეგდო ხიდან ქარს და წვიმას. გაყვითლებული - მისუსტებული და საცოდავი ხმით შემევედრა - "მიშველეო", მაგრამ როგორ უნდა მეშველა - არ ვიცოდი. ხელში ავიყვანე, გავათბე, გავაშრე ... ჰაწაწინა ფოთოლი "მადლიერი თვალებით" მიყურებდა და მიღიმოდა, ვუყვარდი და მეც მიყვარდა; ჩვენ ორივეს გვიყვარდა ერთმანეთი...

ლიკა თუმანიშვილი

შსს სსიჰ-"112"-ის დისპეტჩერი

ბავშვობიდან გატაცებულია ლექსების წერით. დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის ჟურნალისტიკისა და იურიდიული ფაკულტეტები. წლების განმავლობაში მუშაობდა ჟურნალისტად და იურისტად.
ჰყავს მეუღლე.

ტრენინგი "ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებში"

2013 წლის 15-19 ივლისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ინ-ფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერებისთვის ჩაატარა ტრენინგების ციკლი, "ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებში", რომელსაც შსს სსიპ-"112"-ის ანალიტიკური სამსახურის თანამშრომელი - თეონა ბარაბაძე დაესწრო.

ტრენინგის მიზანი იყო ორგანიზაციის პერსონალისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებთან შესაბამისი მოპყრობის უნარ-ჩვევების გამომუშავება, ინფორმაციული უსაფრთხოების დონეების განსაზღვრა, აუდიტის პრინციპებისა და მართვის სისტემების გაცნობა.

ტრენინგის დასრულების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ჩაატარა გამოცდა, სადაც თეონა ბარაბაძემ მიიღო დადებითი შეფასება და გადაეცა ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული მენეჯერის სერტიფიკატი.

112-ის გუნდი გულითადად ულოცავს თეონას ამ მნიშვნელოვან წარმატებას და უსურვებს წინსვლას პროფესიულ ასპარეზზე.

ექსკურსიები...

2013 წლის გაზაფხულზე, "112"-ის თანამშრომლებმა მოინახულეს საქართველოს ხუროთმოძღვრული, კულტურული ძეგლები და არაერთი ულამაზესი ადგილი. კორპორატიული გასვლითი ღონისძიება თანამშრომლებისთვის საუკეთესო განტვირთვის საშუალება აღმოჩნდა.

ექსკურსია კახეთით დაიწყო და მოიცვა, როგორც იმერეთი, ასევე მცხეთა-მთიანეთის რეგიონებიც.

გრემი, ალავერდი, ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტერი, გელათი, ჰრომეთეს მღვიმე, დარიალის ეგრედწოდებული "კავკასიის კარის" ხეობა, უძველესი და ულამაზესი ხუროთმოძღვრული ძეგლი გერგეთის სამება, რომელიც მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს სილამაზე არ შეიძლება ოდესმე დავიწყოს ადამიანმა...

"112"-ელებმა მოილოცეს წმინდა ადგილები, ხოლო ამის შემდეგ სასიამოვნო და დადებითი შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ თბილისში.

საქართველოში კიდევ უამრავი საინტერესო და ღისშესანიშნავი ადგილებია სანახავი. "112"-ის ადმინისტრაციას სამომავლოდ გადაწყვეტილი აქვს ასეთი ექსკურსიები ტრადიციად აქციოს თანამშრომლებისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრი "112"-ს ესტუმრა

2012 წლის 27 დეკემბერს, შსს სსიპ - "112"-ს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ეწვია.

მინისტრი თანამშრომლებს გაესაუბრა და ახალი წლის დღეებთან დაკავშირებით, "112"-ის მუშაობის საგანგებო გრაფიკის მზადყოფნა გადაამოწმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დადებითად შეაფასა "112"-ის მუშაობა და თანამშრომლებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა.

"112"-ის დღე საქართველოში

11 თებერვალს საქართველოში, ისევე როგორც ევროპაში, "112"-ის დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით "112"-ის ოფისში ღონისძიება გაიმართა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და "112"-ის ხელმძღვანელი გიორგი ბიჭაშვილი დაესწრნენ. ასევე ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომელთაც "112"-ის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

2009 წლის თებერვალში ევროკომისიამ, ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ 11 თებერვალი "112"-ის დღედ გამოაცხადეს. ეს თარიღი აღინიშნება ყოველწლიურად და მიზნად ისახავს "112"-ის ცნობადობის გაზრდას.

"112" - საქართველოს ღია ჩემპიონატის მხარდამჭერი ოფროუდ თრაიალში

30-31 მარტს, თბილისში გაიმართა საქართველოს ღია ჩემპიონატის პირველი ეტაპი ოფროუდ თრაიალში. ტურნირი საქართველოს ოფროუდ ჯუნების ორგანიზებითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის - "112"-ის მხარდაჭერით ჩატარდა. მონაწილეობის მიღება როგორც პროფესიონალი, ასევე მოყვარული ავტოსპორტსმენებისთვის იყო შესაძლებელი. ჩემპიონატის პირველ ეტაპზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი 36 ეკიპაჟი იყო წარმოდგენილი. მათ შორის, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქი ოფროუდერებისგან დაკომპლექტებული ეკიპაჟები მონაწილეობდნენ.

ტურნირი 5 საშეჯიბრო კატეგორიაში - ორიგინალი, სტანდარტი, მოდიფი, პრო-მოდიფი და პროტო - ჩატარდა, სადაც კატეგორიებად დაყოფა, სარბოლო ტრანსპორტის მომზადების მიხედვით მოხდა. ჩემპიონატის მონაწილე ეკიპაჟები 7 საშეჯიბრო ტრასაზე, პარალელურ რეჟიმში ასპარეზობდნენ.

"112" მხარს უჭერს საქართველოში ექსტრემალური ავტოსპორტის განვითარებას და მსგავსი სახის ჩართულობით მზად არის მონაწილეების და მათი გულშემატკივრების სიმშვიდე უზრუნველყოს.

"112" - სტუდენტური სამთო-სათხილამურო ჩემპიონატის მხარდამჭერი

"112" გუდაურში გამართული სტუდენტური სამთო-სათხილამურო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მხარდამჭერი გახლდათ. ტურნირი სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთ სახეობაში - **"ski kros"**- ში გაიმართა.

ჩემპიონატის მთავარ მიზანს ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა წარმოადგენს.

ჩემპიონატში 16 გოგონა და 16 ბიჭი იღებდა მონაწილეობას. გამარჯვება ვაჟებს შორის ილიას უნივერსიტეტის სტუდენტმა დავით თედიაშვილმა, ხოლო გოგონებს შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა თეონა მელიქიშვილმა მოიპოვეს. პირველ ადგილზე გასულ ახალგაზრდებს "112"-გან სამახსოვრო საჩუქრად iPod-ები გადაეცათ.

"112" მიესალმება ახალგაზრდა თაობის ჩართულობას მსგავსი სახის ღონისძიებებში და აპირებს აქტიურად გააგრძელოს სპორტის სხვადასხვა სახეობების მხარდაჭერა.



ფილმი "ზარი"

2013 წელს ჯინოეჯრანებზე გამოჩნდა ახალი ამერიკული ტრილერი სახელწოდებით "ზარი". ფილმში მთავარ როლს ასრულებს ჰოლი ბერი და აბიგაილ ბრესლინი, ხოლო რეჟისორია ბრედ ანდერსონი. ტრილერის პრემიერა შედგა 15 მარტს "TriStar Pictures"-ის მიერ. ფილმმა მრავალი რეცენზენტის დადებითი შეფასება დაიმსახურა და კომერციული თვალსაზრისით წარმატებაც დაიმსახურა.

აღნიშნული ტრილერი მოგვითხრობს 911 ქოლ-ცენტრის ოპერატორის ისტორიას. მასთან რეკავს შეშინებული გოგონა, რომელიც ოპერატორი ჯორდანის (ჰოლი ბერის გმირი) მცდელობის მიუხედავად საბოლოოდ მაინც მანიაკის მსხვერპლი ხდება. ჯორდანი გონივრულად ურჩევს გოგონას დაიმალოს სახლის მეორე სართულზე, ზარი ითიშება. ჯორდანი ცდილობს დაკავშირებას, თუმცა გოგონას ნაცვლად ტელეფონს უკვე მანიაკი პასუხობს. 911-ის ოპერატორი ცდილობს დაარწმუნოს მანიაკი დატოვოს სახლი და არ ჩაიდინოს საშინელება და... მანიაკის პასუხი... - მე ეს უკვე გავაკეთე!..

რამდენიმე დღის შემდეგ, ჯორდანი ტელევიზიის საშუალებით გებულობს გოგონას მკვლელობის შესახებ და სტრესის გამო დიდი ხნის განმავლობაში აღარ პასუხობს საგანგებო ზარებს.

ექვსი თვის შემდეგ ჯორდანი ოპერატორების ტრენერი ხდება. ერთ დღეს 911-ში შემოდის ზარი ქესი ველსიონისგან. გოგონა სავაჭრო ცენტრის ავტოსადგომიდან გაიტაცეს. ზარის მართვას ჯორდანი იღებს საკუთარ თავზე და გოგონას გადარჩენისთვის საკუთარ სიცოცხლესაც კი აყენებს საფრთხეში.

***



911-ს მოქალაქეები ძალიან ენდობიან და ხიფათის არსებობის შემთხვევაში მუდამ ამ ნომერზე რეკავენ. თუმცა არის ჯი ყოველთვის სანდო ის სამსახური, სადაც რობოტები ჯი არა ჩვეულებრივი ადამიანები მუშაობენ?!

911-ში რამოდენიმე წამით ჩაძინებაც ჯი დიდი დანაშაულია. ერთხელ, ამერიკის ქ. ბალტიმორში 2:40 საათზე ქალბატონმა დარეკა, რათა ოპერატორისთვის შეეტყობინებინა, რომ მისი სახლის უკანა კარიდან ვიღაც შეჭრას ცდილობდა. როგორც ჯი, ქალბატონმა ლაპარაკი დაიწყო, ოპერატორს მაშინვე ჩაეძინა და ხვრინვაც ამოუშვა. ჩანაწერებზე ხვრინვის ხმა აშკარად ისმის. ქალბატონ ბერგს ჩაძინებული ოპერატორის გასაღვიძებლად 2 წუთი დასჭირდა. ოპერატორმა გაღვიძებისთანავე, ისევ ხელახლა გამოკითხა ქალბატონი მომხდარის შესახებ.

ამ ინციდენტის გამო ოპერატორს რა თქმა უნდა სამსახურის დატოვება მოუხდა. 911-ის ხელმძღვანელობას ჯი, ბევრი დამატებითი ღონისძიების გატარებამ მოუწია, რათა მოქალაქეთა ნდობა ჯვლავ დაებრუნებინა.

***

ორეგონის შტატის ქალაქ ალოჰის მოქალაქემ 911-ში დარეკა და განაცხადა რომ სასწრაფოდ დახმარება სჭირდებოდა, რეალურად ჯი აღმოჩნდა, რომ მას პოლიციის ერთ-ერთი ოფიცრის ნახვა სურდა. მან წინა დღით მეზობელთან მისული ორი თანამშრომელი დაინახა და ერთ-ერთი მოეწონა. ქალბატონი რა თქმა უნდა დააკავეს, რამდენიმე ათასი დოლარი გადაახდევინეს და 1 წლიანი პატიმრობა მოუსაჯეს.

***

6 წლის ჯონიმ დარეკა 911-ში და საშინაო დავალების გაკეთებაში, კერძოდ ჯი მათემატიკის ამოცანის ამოხსნაში დახმარება მოითხოვა. ოპერატორს თავიდან გაეცინა, მაგრამ შემდგომ გულმოდგინედ მოისმინა ამოცანის შინაარსი და დავალების მომზადებაში დაეხმარა პატარა ჯონის.

***

ჯონ ტრიპლეტმა, 45 წლის უმუშევარმა მამაკაცმა, უსაქმურობის გამო 911-ში 27000-ჯერ დარეკა. ოპერატორების თქმით, ის დღეში ზოგჯერ რამდენიმე ასეულ ზარს ახორციელებდა. ამასთან ის არ ლაპარაკობდა, მხოლოდ უცნაურ ხმებს გამოსცემდა, უფრო ხშირად ღრეტუნებდა ან საყვირის ხმას ბაძავდა. ის 1000 დოლარით დააჯარიმეს.

***

გერმანული მეცხვარე - ბადი, "ადამიანის მეგობარზე" მეტია ჯო სტალნაკერისათვის. ძაღლმა პატრონი სიკვდილს 911-ზე დარეკვით გადაარჩინა. ბადიმ დარეკა 911-ზე, როდესაც ნახა რომ მის პატრონს გულის შეტევა მოუვიდა. ძაღლი 8 კვირის იყო, როცა ჯომ იყიდა და ახლა ის მისთვის ყველაფერია.

ჩანაწერში კარგად ჩანს როგორ ყეფს ბადი, როდესაც 911 დისპეტჩერი იღებს ზარს. ძაღლი გაუჩერებლად აგრძელებს ყეფას, როდესაც ოპერატორი კრის სკოტი ეკითხება ხომ არ სურს დახმარება. ეს ფაქტი დაუჯერებელია, თვით ვეტერან დისპეტჩერებსაც ჯი არ სმენიათ მსგავსი ისტორია.

პოლიცია იგზავნება ყველა შემთხვევაში, როგორც ჯი 911-ზე ზარი შემოდის, სტალნაკერის მისამართი ჯი აღნიშნული იყო სისტემაში, სადაც მითითებული იყო, რომ გაწვრთნილ ძაღლს შეეძლო დარეკვა 911-ზე როდესაც მეპატრონეს დახმარება დასჭირდებოდა. ბადი 18 თვის იყო, როდესაც პირველად დარეკა 911-ზე.

სტალნაკერის სახლში მისულ პოლიციას ძაღლმა ყეფით მიანიშნა პატრონის ადგილსამყოფელი. ჯო მხოლოდ ორი დღე იმყოფებოდა საავადმყოფოში. ძაღლმა უკვე რამოდენიმეჯერ იხსნა პატრონი სიკვდილისგან.

ჯომ ბადი სპეციალურად გაწვრთნა, რათა მისი ცუდად ყოფნისას ძაღლს 911-ზედარეკა.



ცნობილი რომაელი მხედართმთავარი მარკუს ლიციინიუს კრასუსი ისტორიაში შევიდა, როგორც სპარტაკის აჯანყების ჩამხშობი. მან რომში დააფუძნა საკუთარი სახანძრო სამსახური და ამით დიდი ქონების პატრონი გახდა. ის ფლობდა 200 მილიონ სესტერციუმს. (ჟურნალ ფორბსის 2008 წ. თებერვლის გამოშვების მიხედვით 169.8 მილიარდი დოლარი).

მაგ დროისათვის რომიში ძირითადად ხის ნაგებობები იყო. და საკმაოდ ხშირი იყო ხანძრის შემთხვევები. შესაბამისად კრასუსის სახაძრო სამსახური დიდი მოთხოვნით სარგებლობდა.

ჯოლხეთის ლეგენდარული მეფის აიეტის ასულის მედეას სახელს ანტიკური საზოგადოება და ბევრი თანამედროვე მეცნიერი უკავშირებს მედიცინის თანამედროვე სახით განვითარებას. თვით ტერმინი მედიცინაც მისი სახელიდან მომდინარეობს.

აშშ-ს 26-ე პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი 1895 წლის გაზაფხულიდან მუშაობდა ნიუ-იორკის პოლიციის კომისრად. რასაც მას ხშირად ახსენებდნენ გაპრეზიდენტების შემდგომ. ამაზე მიუთითებს აღნიშნული კარიკატურაც.

გაიგეთ თქვენი ფსიქოტიპი

გაიარეთ ეს ტესტი. გაიგეთ ვინ ხართ თქვენ. აქ არის 4 დავალება, რომელიც უნდა შეასრულოთ. დავიწყოთ:

1) გადახლართეთ თითები, როგორც პირველ სურათზეა ნაჩვენები.

თუ ზევით მარცხენა ხელის ცერა თითი აღმოჩნდა ფურცელზე დაწერეთ სიმბოლო **"L"**, თუ პირიქით - **"R".**

2) დაუმიზნეთ უჩინარ სამიზნეს. თუ მარცხენა თვალით უმიზნებთ და მარჯვენას ხუჭავთ დაწერეთ სიმბოლო **"L"**, თუ პირიქით - **"R"**.

3) გადააჯვარედინეთ ხელები მკერდზე. თუ მარცხენა ხელის მტევანია ზევით დაწერეთ სიმბოლო **"L"**, თუ მარჯვენა - **"R".**

4) ტაში დაუკარით.

თუ თქვენ მარცხენა ხელს ურტყამთ მარჯვენას დაწერეთ სიმბოლო **"L"**, თუ პირიქით - **"R"**.

მაშ ასე ვნახოთ შედეგები:

RRRR-100% მემარჯვენე. კონსერვატიზმი, სტერეოტიპებისადმი ორიენტაცია. უკონფლიქტობა.

RRRL-ხასიათის საკმაოდ მკვეთრი მახასიათებელია თავდაჯერებულობის ნაკლებობა.

RRLR-ძალიან კონტაქტური ხასიათის ტიპი. თავდაჯერებოლობა, არტისტიზმი, იუმორის გრძნობა.

RRLL-იშვიათი შეხამება. წინა ხასიათს ჰგავს, თუმცა უფრო შერბილებულია.

RLRR-ანალიტიკური აზროვნება. ნელი შეგუება, სიფრთხილე ურთიერთობებში, მოთმინების უნარის მაღალი დონე და რაღაც დოზით სიცივე.

RLRL-ყველაზე იშვიათი შეხამებაა. უსუსურობა, სხვადასხვა გავლენების ქვეშ მოქცევის მაღალი რისკი.

LRRR-ხშირი შეხამებაა. ემოციურობა, მიზანსწრაფულობის ნაკლებობა. მეგობრულობა და კონტაქტში ადვილად შესვლის უნარი.

LRRL-წინა შემთხვევასთან შედარებით უფრო რბილი ხასიათი. მეამიტობა.

LLRR-მეგობრულობა და თავისუფლება. ინტერესების გაფანტულობა და თვითანალიზისადმი მიდრეკილება.

LLRL-მიმნდობობა და ხასიათის სიმარტივე.

LLLR-ემოციურობა, ენერგიულობა და თავდაჯერებულობა.

LLLL-100%-ით მემარცხენე. ანტიკონსერვატიული ხასიათი. ძველისთვის ახლებურად შეხედვის უნარი. ძლიერი ემოციები, ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი.

LRLR-ხასიათის ყველაზე ძლიერი ტიპი. ენერგიულობა მიზნისკენ სწრაფვაში. საკუთარი თვალთახედვის შეცვლის უნარის არარსებობა.

LRLL-სირთულეები მეგობრების შეძენისას. ჰგავს წინა ტიპს.

RLLR-ადვილი ხასითი. გაურბის კონფლიქტებს. გატაცებების ხშირი ცვლილება.

RLLL-დამოუკიდებლობა და ცვალებადობა. ყველაფრის თავისი ძალებით კეთების სურვილი.

112-ში უამრავი პროფესიის ადამიანი მუშაობს, დავინტერესდით, თუ რომელი პროფესია ჭარბობდა მათ შორის და წარმოგიდგენთ შესაბამისი სტატისტიკური კვლევის შედეგებს.



გილოცავთ...

ლიოლიხიანს ვულოცავთ ჭიკაიძე მარიამს, ბოჭორიძე დალის და კვარაცხელია ნინოს.

შვილის შეძენას ვულოცავთ კუხიანიძე შალვას, დანელია თეონას და გაბრიშვილ მერიკოს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ატვირთეთ თქვენს მიერ გადაღებული ფოტო თემატიკაზე "112".

წლის ბოლოს გამოვლინდება კონკურსის გამარჯვებული.

ფოტოები გამოგზავნეთ მეილზე:
112news@112.ge

ფოტოების ავტორი
სალომე სულთანიშვილი

შსს სსიპ-"112"-ის ზარის მიმღები

ფოტოების ავტორი
ქეთევან სამადაშვილი

შსს სსიპ-"112"-ის დისპეტჩერი

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ - "112"

ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ: ᲡᲐᲛᲘᲥᲐᲠᲝᲡ ᲓᲐᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲥᲐᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲕᲘᲖᲘᲢᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.112.ge

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲘᲗᲔᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ: 112news@112.ge